ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი №01-07/07

დაბა ქედა, 29 მაისი, 2023 წელი.

სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 14:20 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

სხდომას არ ესწრებოდა:
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატი უფროსი;
ნონა ბერიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში;
ლაშა ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-07/07 ბიუროს სხდომა

29 მაისი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მაისის №01-07/07 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში;
4. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
5. ,,განთავსდეს ბანერი წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება"" - ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე;
6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის განსაზღვრა.

ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

შემდეგ ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მაისის №01-07/07 ბიუროს სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

1.მოისმინეს: ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნაში, დანართი №1-ის შესაბამისად ჩამოყალიბდა დადგენილების პროექტის საბოლოო ვერსია (წერილის ნომერი: №დ95.95231161, 26.04.2023 წელი.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძე.

2.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95231221-95, 02.05.2023 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ კითხით მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, შესაძლებელი თუ იქნებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის მერი რომ ყოფილიყო.

რაზედაც სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ უპასუხა, რომ როგორც მისთვის ცნობილი იყო მერი ამჟამად მივლინებაში იმყოფებოდა ქალაქ თბილისში და ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა მისი დასწრება საკრებულოს სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე, ხოლო თანამომხსენებლად საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე.

3.მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95231222-95, 02.05.2023 წელი.)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე.

4.მოისმინეს: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში (წერილის ნომერი: №12-95231446-95, 24.05.2023 წელი) საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.საკითხი შეტანილი იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგში;

2.საკრებულოს სხდომაზე საკითხის მომხსენებლად განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური უფროსი დავით თედორაძე, ხოლო თანამომხსენებლად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე.

5.მოისმინეს: ,,განთავსდეს ბანერი წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება"" - ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა ,,განთავსდეს ბანერი წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება"" - ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის თაობაზე საკითხი (წერილის ნომერი: №19/95231375-95, 17.05.2023 წელი) და აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის 117-ე მუხლის, მე-4 პუნქტის „ბ" ან „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პეტიცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მისი რეგისტრაციიდან 7 დღის ვადაში, შესასწავლად გადაეცემა მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფის შექმნის წინადადებით, ან აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად ეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს. აქედან გამომდინარე, ვინაიდანაც ბანერის განთავსებისთვის გარკვეული ინფრასტრუქტურული საკითხებიცაა მოსაგვარებელი, ფინანსურ მხარესთან ერთად აუცილებელი იყო პეტიცია მუნიციპალიტეტის მერს გაგზავნოდა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1.დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს შესაბამისი წერილის მომზადება ქედის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - ,,განთავსდეს ბანერი წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება"" - გადაგზავნასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნული პეტიციის გაგზავნის შესახებ ეცნობოს პეტიციის ინიციატორს, მოქალაქე ზვიად გოგიტიძეს.

ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

1.,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3.ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში;

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4.მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
უფროსი: დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №01-06/07 მორიგი სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი;

2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა (საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება);

3. დამტკიცებული დღის წესრიგის პროექტი გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.keda.gov.ge.

სხდომის თავმჯდომარე: ამირან ცინცაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და
საორგანიზაციო განყოფილების პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
საქმისწარმოების საკითხებში ნონა ბერიძე